№ 220

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 220

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, №
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—ე.—8)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით. ავადმყოფებს.
ი. თ. პრიტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
სალამოობით:
გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა: ტფილისის მესამე გიმნაზიის მასწავლებელს ოცხელს, ბაქოს დედათა გიმნაზიის მასწავლებელს ლორთქიფანიძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ბაქოს მიხეილის სასწავლებლის მასწავლებელს ჩიკვაიძეს; კოლეჟსკი ასესორობა: ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელეებს მიხეილ მაჩაბელს და სოლომონ მაჩაბელს; გუბერნსკი რეგისტრატორობა—ქუთაისის გუბერნიის ტყის კონდუქტორს თავად დადიშქელიანს.

დამტკიცებულ იქმნა კოლეჟსკი სოვეტნიკობის ხარისხში თერგის ოლქის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორი ქიქინაძე.

გადაყვანილ იქმნა ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე გიორგი ისაშვილი — ჯელალ-ოღლის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

გამწესებულ იქმნა ილია აბაზაძე—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

◆

ახალი ამბავი

—

⁂ 11 ოქტომბერს გორში საგანგებო კრება ჰქონდა გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის წევრთ. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა პოლკოვნიკი თავ. რ. შ. ერისთავი. კრებამ დაადგინა ნება მისცეს ამხანაგობის გამგეობას, თუ საჭირო იქმნება, გამოიტანოს სესხად ფული სახელმწიფო ბანკის და სხვა საკომერციო დაწესებულებათაგან. ამასთან გამგეობას შეუძლიან ისესხოს სახელმწიფო ბანკიდგან 10,000 მანეთამდე, ხოლო სხვა ბანკებიდგან 45,000 მანეთამდე. დასასრულ კრებამ აირჩია ამხანაგობის გამგე დირექტორი. თავ. ი. გ. მაჩაბლის ნაცვლად, რომელიც, როგორც ვუწყით, სადღაც დაიკარგა.

ამ თანამდებობაზედ დასახელებულ იქნენ: თავ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი, ვ. ვ. პოტებნია, ა. ა. აბაზაძე და პ. ი. ყიფიანი. კენჭი იყარა პირველმა ორმა. თავ. მაჩაბელს ამოუვიდა 22 თეთრი და 9 შავი, ხოლო პოტებნიას 13 თეთრი და 18 შავი. ამ რიგად ამხანაგობის გამგე-დირექტორად თავ. ვ. გ. მაჩაბელი იქმნა არჩეული.

⁂ 26 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება განიხილავს საქმეს ასკერ და ისმაილ ზეინალოვებისა და სხვათა, რომელთაც ყალბის ფულის მოჭრა ჰბრალდებათ.

⁂ როგორც შევიტყეთ, სინოდის საქართველოს კანტორის წევრად წარუდგენიათ უწმიდესს სინოდში დასამტკიცებლად ეგზარხოსის ეკონომი ბერ-მონაზონი არისტარხი.

⁂ 11 ოქტომბერს მოხდა საზოგადო კრება იმ კომისიის წევრთა, რომელიც ტფილისში სახალხო კიდხვე'სა ჰმართავს. არჩეულ იქმნენ: კომისიის ბიუროს თავმჯდომარედ ნ. ი. ხუდადოვი, იმის ამხანაგად ი. პლამენევსკი, მდივნად ი. ს. სტანიშევსკი, ხაზინადრად ა. ლ. კოზლოვი, კომისიის ქონების გამგედ ვ. ი. მისენკო, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად გ. მ. ლასხიშვილი, ნ. მ. სუნდუკიანცი და ა. ი. მიტკევიჩი.

ამ კრებაზედ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმ საგანმა, სახალხო წარმოდგენების საქმე ისევ იმ წესით წარიმართოს, როგორც აქამდის იყო, თუ სხვა ნაირად მოეწყოს. საქმე ის არის, რომ დღეს სახალხო წარმოდგენების საქმეს სამი სექცია განაგებს: რუსული, ქართული და სომხური. ი. ს. სტანიშევსკიმ წინადადება შეიტანა, რომ ამ სამის სექციის ნაცვლად ამოვირჩიოდ ერთი სათეატრო კომისია და იმას მივანდოთ სამს ენაზედ წარმოდგენების გამართვის საქმეო. კრებამ თუმცა ეს წინადადება არ შეიწყნარა, მაგრამ კომისია აარჩია და მიანდო იმას ამ საგნის შემუშავება და იმის გამორკვევა, თუ როგორ სჯობია სახალხო წარმოდგენების მმართვის საქმის გაწყობა და ერთის თვის შემდეგ წარუდგინოს მოხსენება ამ საგნის შესახებ კრებას. წევრებად ამ კომისიაში არჩეულ იქმნენ: ა. ა. ტხორჟევსკისა, ე. ა. შტეინი, პ. ს. ქუჩენკო, ნ. ნ. ვესელოვზოროვი, ი. დ. კობიაკოვი გ. მ. ლასხიშვილი, მ. ი. მისენკო, ა. ი. მიტკევიჩი, ი. ს. სტანიშევსკი, ნ. მ. სუნდუკიანცი და სმირნოვი.

⁂ ამა წლის წარსულ ზაფხულს ლეჩხუმისა და რაჭის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს სულ 350 დესეტინა ვენახი. ფილოქსერა რაჭაში ორს სოფელში აღმოუჩენიათ: საკეციასა და კვაცხუთში. პირველს სოფელში ფილოქსერა ხუთ ვენახში უნახავთ, ხოლო მეორეში—ერთს ვენახში. გასინჯული ვენახები, 12 გარდა, ყველა ნაწამლი ყოფილა. ნაწამლ ვენახებს წელს ნაცარი და ობი არ გაჩენია, ხოლო უწამლ ვენახებს-ეს სენი ძალიანა ჰქონდა მოდებული თურმე. ობისაგან უფრო ლეჩხუმის ვენახები დაშავდა.

შორაპნის მაზრაშიაც წელს ნაკლებ იყო გავრცელებული ობი და ნაცარი. ვაზის სხვა და-სხვა სენის გაძლიერებას წელს ხელს უშლიდა ხმელი ამინდები და წამლობა.

უფრო ძალიან ვაზის სენი გავრცელებული ყოფილა ქუთაისის მაზრაში. განსაკუთრებულ დიდი ზარალი უწამლელ ვენახებს მიაყენა თურმე ამ სენმა. ვენახებს კარგად უწამლოდ…

ფელეტონი

—

თრიალეთი

ქართველთა ძველი ნასადგომრები.—ვინ ავლებს მუსრს ეკლესიურ ნაშთთ და სიძველეთ.—ბერძენთ უკუღმართობა.—ტანჯული სოფელი რეხა და მისი უდიერნი ვარამნი.—წალკის სოფლები და მათი უკუღმართობა.—წალკის საყველსამეწველო სასწავლებელი.—ს. დიდი-გომარეთის ვარამი-დაბრიყვება ახალ-ახალ-შენელ გერმანელთა-მიერაც-კი.—სასოფლო ყველის ქარხნებია მომავილი თრიალეთის ზოგიერთ სოფელთა.

„Дурацкій родъ человѣческій: кричатъ, неистовствуютъ, бранятся и всѣ правы“.
Гейне

წარსულა დრო და თან წაულია დიდება ამ მხარისა, მხოლოდ აქაურ მდინარეთა ლურჯი ტალღები, რომელნიც ქაფდება ხრამების უფსკრულებში უშველებელ ლოდებზედ, შეჰმღერიან წარსულის ამბავს ზემოდგან გადმომყურე დახავსებულ ციხე-გალავნებს, ეკკლესია-კოშკებს!.. უგდე ყური შმაგთა ტალღათა სიმღერას და მერე მიგერულება იდუმალის ფიქრებით სავსეს!.. „აქ უწინ ყოფილა ს. ეგრისი, აქ ხახალო ჯვარი, აქ მონა-ვერი, აქ ორმოშენი, აი მთელი 18 ქართველ უზარ-მაზარ ნასოფლარზედ გამწკრივებულა წალკის ბერძენთა და სომეხთა სოფლებიო“, გეუბნება შენი თანამგზავრი, როცა ჰმოგზაურობ ქვედა თრიალეთის მშვენიერ არე მარეზედ და ითვალისწინებ, რომ ეს მხარე ისევე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ქართველებით, როგორც ეხლა კახეთი და ქართლია. ხრამის პირად ცხრა ნასოფლარზედ ეხლა ტფილელ ვაჭარს ხუდადოვს, რომელსაც შეუსყიდნია ეს მამული, დაუსახლებია ხიზნად თათრები და დუხაბორები. ესენი მუსრს ავლებენ ნასოფლარებზედ მშვენივრად შენახულ ეკკლესიებს და ჰმუსრავენ ზედ შერჩენილს მრავალს წარწერას. ამასვე სჩადიან სომხები, დასახლებულნი ქართველ ნასოფლარებზედ, მაგრამ რაც უქმნიათ და დღესაც სჩადიან ბერძენნი, ეს-კი აღემატება ყველას... შიგ მტერთა მისადგომ სახსრის კრიჭაში გამაგრებულა ორმოც-კომლიანი ქართველთა სოფელი ახა. ახის ქართველობა, დღესაც მამაცი და სულგძელი, დაცინვით უცქერის გარსშემორტყმულ უხასიათო ბერძენთ, ველურ-უზრუნველ თათრებს და თვით ბლინძვა-ჭამია დუხაბორთ. ახლი იმდენად არა ჰკადრულობს ბერძენთ, რომ არც მიათხოვებს, არც ითხოვს იმათ ქალს, რაც კინდ საქმე უჭირდეს. აი ამ ახის ეკკლესიის ტრაპეზზედ დასვენებულ წმ: ოდიკზედ ვკითხულობ: „антиминсъ сей данъ для греческой церкви, что въ сел. Ахинахъ на цалкѣ“ (ოდიკი ესე მიეცა ბერძენთა ეკკლესიას ახინაში, რომელიც იმყოფება წალკაზედ). როცა ამის შესახებ ჩემი გაკვირვება გამოვუცხადე ახელებს, მაშინვე ერთხმად ახსნეს, რომ ეს აქ მყოფ ბერძენთ ბლაღოჩინების ოინიაო, თორემ „სად წალკა, სად ახა, ან სად ახა და სად ახინაო“:

ს. ახას ზემოდ ძველ ნასადგომებს შეჰრჩენოდა ორმოცი კომლი ერთ საგვარეულო ქართველთა ედიშერაშვილე'ისა, სოფელსაც ედიშაანთ სოფელი ერქვა და ჰქვიან, მაგრამ ამათ მიჰკედლებია ორმოცი კომლი ოსმალეთიდგან გადმოსახლებულ ბერძენთა და ერკუშ-ოღლად მოუნათლავთ ეს სოფელი. მთავრობაც ქაღალდებში ასე იხსენიებს, რადგან ბერძნებს სასამართლოში და სამმართველოებში საქმე არ გამოულევათ, ხოლო თრიალეთელ ქართველს-კი ქუდი რომ შეუგდო ამ დგილებში, გამოსატანად არ შევა. აქ გადმოსახლებულ ბერძენთ ერთად-ერთი ენა ყიზილბაშური აქვთ, ჩაცმა-დახურვა და ზნე-ჩვეულებანიც სრულიად იქაური, არც ახალ-ბერძნულისა და არც ძველ ბერძნულისა იმათ ინჩიც არ გაეგებათ. ამათ სასულიერო წოდება წესებსაცა და წირვა-ლოცვასაც ძველ ბერძნულ ენაზედ უსრულებს, მაგრამ როგორც ერს, ისე მღვდელს ამ ენისა არა გაეგებათ-რა; ამიტომ ეს უბედურნი მოკლებულნი არიან დიად მადლს ეკკლესიისას. ამ მხრივ თითონ ხომ არიან უბედურნი, ქართველებსაც ვერაგობით ამ უბედურებაში აგდებენ, სადაც-კი ხელი მიუწვდებათ. ასე მოსვლიათ ედიშაანთსოფელსაც, სადაც ქართველობა ბრინჯივით ერჩევა ბერძნებს ჩაცმა-დახურვით, ქცევით, მოხერხებით, სიტყვა-პასუხით და ლაზათიან შეხედულობით, მაგრამ ბერძნის მღვდელი იმათაც და თავიანთ ბერძენთაც გაუგებარ ენაზედ უწირავს და ულოცავს. მაგრამ ბერძენთ უკუღმართობა ისე მშრალზედ არსად არა რჩება, როგორც მაშინ, როდესაც ამათგან გაუბედურებულ ს. რეხის ამბავს გაითვალისწინებთ.

* *

რომელ ქართველს არ გაუგონია სოფელი რეხა ძველის ანდაზის ძალით: „წამართმევენ რეხასა, მომცემენ რეხასაო“. აი ეს რეხაა თრიალეთზედ ორას-კომლიანი ქართველთა სოფელი და სრულიადაც ისეთი მასხარა არაა, როგორც უწინ გაუტეხიათ სახელი. სოფელი მდ. ქციის ანუ ხრამის სათავეს მოჰქცევია და გამაგრებულა იმ თრიალეთის ზედა კრიჭაში, სადაც მტერს, თუ გადმოჰსვლა მოსდომებოდა თრიალეთზედ, ამაზედ უნდა გადმოსულიყო, თუ გასვლა, ამაზედ უნდა გადაეარა. კლდე-კარი, ის გამოჩენილი კლდე-კარი, რომელიც ჰფარავდა აქაურ მტრისაგან შიდა ქართლს,—ამათი მორჩილი და ნებისა ყოფილა. დღესაც ამათ ქვემოდ ისე არხეინად გაშლილა მშვენიერ ქცის ნაპირებზედ ბერძენ წალკელთ ეს რეხელნი ჰფარავენ ბევრნაირ ყაჩაღთა და ქურდთაგან. რეხელთ ყველა აზნაურ ასაც უქცევს და ერიდება, ხოლო ბერძენნი რომ ყოფილიყვნენ აქა, ტუტას აადენდნენ-ვაკაცი და მხარ-ბეჭიანია რეხელი, შეძლებით კმა-ყოფილი და დინჯის ქართულის-მოლაპარაკე, თუ იგი ძალიან ჯელი არაა და უკუღმართობას ქართული არ დაუვიწყებია,—ბერძნებსავით თათრულს ყიტ-ყიტ არ შეჩვევია...

— შენი სახელი? ვეკითხები ერთ რეხელს.

— მარკოზ.

— გვარი?

— ქეშიშ ოღლი.

— განა ქართველი არა ხარ?

— მაშ ვინ გახლდები, მამაო!

— ქეშიშ-ოღლი და ქართველი?!

— მამაო, ჩვენმა ბერძნის მღვდელმა განა მარტო ეგ ჰირი შეგვაყარის?.. იმ თავით ჩემი გვარი ხუციშვილია, რადგან ჩვენ გვარშმოგვე-

მლეს სვირისა, დიმისა და ბაღდადის საზოგადოებებში. ამავე საზოგადოებებში უფრო ძალიანა ვრცელდება თურმე ამერიკული ვაზი.

⁂ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საჭირო ფული იქმნას გადადებული გორში მტკვარზედ ბორანის გასამართავად, გაზ. „ახ. მიმ."-ს სიტყვით, კავკასიის უმაღლესს მთავრობას შეუწყნარებია.

∴ რადგანაც ამ ბოლოს დროს ქალაქში ყვავილი ძალიან გავრცელდა, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა მიანდო მკურნალ-ქალს ფომინა ოსიპოვისას აუცრას ყვავილი იმ სასწავლებლების ყველა მოსწავლეებს, რომელნიც ქალაქის ხარჯით ინახება, ხოლო მკურნალს გონიევს — კერძო სკოლებისა და პანსიონების მოსწავლეებს.

∴ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 12 ოქტომბერს გზათა სამმართველოს შენობაში მაჰმადიანმა ყასუმ-მამედ-ოღლიმ ბენზინი გადისხა და ცეცხლი წაიკიდა. გუშინ ვწერდით, რომ ვილაც ინჟენერს ჰმართებია ამ თათრის ფული, აღარ აძლევდა ფულს და იმიტომ განიზრახა თავის მოკვლაო. ეხლა გაზეთი „Тиф. Лист."-ი იუწყება, რომ ეს ინჟენერი იარალოვია. გაზეთის სიტყვით, კასუმ-მამედ-ოღლის ამ ინჟენერთან უმსახურნია შარშან გუმბრ ერევნის გზაზედ. იარალოვს 186 მანეთი დასდებია ყასუმ-მამედ-ოღლისა, მაგრამ მაშინ არ მიუცია. შემდეგ ყასუმ-მამედ-ოღლის მრავალჯერ კიდევ მიუმართავს ინჟენერისათვის, მაგრამ ფული არც ერთხელ არ მიუღია. ბოლოს, 12 ოქტომბერს გადაუწყვეტია თავის მოკვლა; ამ აზრით ნავთ გადასხმულ ქილოში შეხვეულა და ცეცხლი წაუკიდებია. მკურნალების აზრით ყასუმ-მამედ-ოღლი საშიშ მდგომარეობაშია თურმე.

∴ გაზ. „კავკაზ"-ს სწერენ ბორჩალოს მაზრიდგან, რომ ამას წინად გერგერის სოფლის საზოგადოებამ მიჰმართა საეპარქიო საბჭოს და სთხოვა, ჩვენს სოფელში სამრევლო-საეკკლესიო სკოლა დააარსეთო. ამასთან საზოგადოება დაჰპირდა სკოლისა და მასწავლებლისათვის შენობის აგებას და აგრეთვე სკოლის შესანახად რაოდენისამე ხარჯის გაღებას. საბჭომ შეიწყნარა საზოგადოების თხოვნა, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო სკოლა ჯერ არ დაუარსებიაო.

∴ „Нов. Вр." სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვთ შავის ზღვის ნაპირას, შავის ზღვის პირის გუბერნიაში კიდევ დაურიგოს სახელმწიფო მიწა მსურველთ ვენახებისა და ბაღების გასაშენებლად. ეს ადგილი თუაფსეს მახლობლად მდებარეობს და მეტად მდიდარი და ნაყოფიერია. სამინისტროს აზრადა აქვს ბათუმის მახლობლადაც დაანაწილოს სახელმწიფო მიწა და დაურიგოს მსურველთაო.

∴ შემდეგ სამწუხარო ამბავს სწერენ გაზ. „კავკას"-ს ჯევანშირის მაზრის სოფ. ბარდიდგან: „სოფ. კაუნბანასში შეძლებულის გლეხის რ.—ს საბძელში ჩამომხრჩვალი იპოვეს ამ გლეხის ცოლი მ. როგორც ამბობენ, ამ თავის მოკვლის მიზეზი შემდეგი რომანი ყოფილა. ახალგაზრდა და ლამაზს მ.—ს შეჰყვარებია ვიღაც ი., იმავე სოფლის მცხოვრებელი. რადგანაც ი.—საც შეჰყვარებია მ., ამ უკანასკნელს განუზრახავს ქმრის თავის დანებება და ი.—თან კანონიერად შეუღლება. ამ აზრით ახალგაზრდა ქალს რამდენჯერმე მიუმართავს თავის მამისათვის, შეძლებულ და გავლენიან კაცისათვის და დახმარება უთხოვნია, მაგრამ იმას უარი შემოუთვლია. ბოლოს, ამ რამდენისამე დღის წინად, ახალგაზრდა ქალს ხელ-ახლად მიუმართნია მამისათვის, მაგრამ ხელ-ახლა უარი მიუღია. ამასთან მამა სასტიკადაც მოჰქცევია. საწყალი ქალი დაღონებული დაბრუნებულა სახლში, შესულა საბძელში და თავი ჩამოუხრჩვია.

∴ ამ დღეებში ტფილისს სადღაც დაიკარგა 14 წლის ბავშვი, გვარად ძეველიშვილი. ძეველიშვილი იარმუკაზედ ერთს ოქრომჭედელთან ჰმსახურებდა. 7 ოქტომბერს ოქრომჭედელმა სხვაგან გაჰგზავნა, მაგრამ ცოტა დაიგვიანა და ამის გულისათვის სცემა თურმე. ცოტა ხანს შემდეგ ბავშვი სადღაც დაიკარგა და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

∴ 12 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, ტფილისის მცხოვრებელის ივანე ჩიტიაშვილის ქალი ანნა, 9 წლისა, ლიტრით მტკვრიდგან წყალს იღებდა პაპოვის წისქვილთან, ფეხი დაუსხლტა, წყალში ჩავარდა და დაირჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

∴ 12 ოქტომბერს, ვარდის უბანში, თხინვალის მცხოვრებელს მიხა ბერიკაციშვილს და ტფილისის მცხოვრებელს პავლე მარგიშვილს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს ბერიკაციშვილმა ხანჯლით დასჭრა მარგიშვილი. დაჭრილი მიხეილის სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆

ქალაქის საბჭო

12 ოქტომბერი

მდივანმა წაიკითხა წარსულ კრების ოქმი.

ხმ. ხუდადოვი. ამას წინად მე გამგეობას შევეკითხე, რა მიზეზია, რომ ზოგან გულსმოდგინედ რწყავენ ქუჩებს და ზოგან სრულიად არა-მეთქი. მეგონა, რომ ჩემს სიტყვებს ყურადღებას მიაქცევდით, მაგრამ ტყუილი გამოდგა; დღესაც ასევე იქცევიან ზოგიერთ ადგილის მორწყვის შესახებ.

თავმჯდომარე. თქვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქმნება.

ხმ. თაიროვი. ხმოსანთ დაბეჭდილი ქაღალდები აქვთ გამგეობისაგან დარიგებული. ვინც რაიმე უწესოებას შენიშნავს ქალაქში, ამ ქაღალდზედ უნდა დასწეროს და გამგეობას გაუგზავნოს, რომელიც ვალდებულია ხმოსანის შენიშვნებს ყურადღება მიაქციოს. თორემ აქ, კრებაზედ, ყველა ხმოსანი რომ შეეკითხოს გამგეობას ამა თუ იმ უწესოების შესახებ, ეს რას ემსგავსება? მთელი დრო ხომ ამისთვის უნდა დავკარგოთ.

ხმოსნებს მოსწონთ ბ-ნ თაიროვის აზრი.

თავმჯდომარემ საბჭოს აუწყა, 28 სექტემბერს და 2 ოქტომბერს რომელი და რომელი ხმოსანი არ დასწრებია საბჭოს კრებას.

შემდეგ საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, თუ 1899 წ. რამდენი გარდასახადი უნდა შეეწეროს ტრაქტირებს და დაადგინა: საჩაიებს და ბაკებს იგივე გარდასახადი შეეწეროს, რამდენსაც წელს იხდიან, ხოლო ტრაქტირებს, დუქნებს და სხ. წლევანდელი გარდასახადის 20%-ზედ მეტი შეაწერონ.

გადადებულ იქმნა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის ორის ცხენის საყიდლად 280 მან.

პეტრე რიბაკოვის თხოვნა, — ჩემი მამული ხელ-მეორედ დააფასეთო, საბჭომ არ შეიწყნარა.

ბ-ნ ივანენკომ წაიკითხა შუამდგომლობა ალექსანდრე — ნეველის ეკკლესიის წინამძღვრისა იმის შესახებ, რომ ეკკლესიის მამული განთავისუფლეთ დასაფასებელ გარდასახადისაგან და დარჩენილი ვალი 873 მან. აპატიეთო. გამგეობას თავის მხრივ შესაწყნარებლად უცვნია ეს თხოვნა, რადგან ეკკლესიას ესეთი არავითარი მამული არა ჰქონია, რომელსაც სარგებლობა რამე შეჰქონდეს. ჰქონია, მართალია, შენობები შიგ გალავანში, მაგრამ ამ შენობებში სასწავლებელი და ეკკლესიის მსახურნი ყოფილან მოთავსებულნი.

საბჭომ ამ საგნის შესახებ გამგეობის დადგენილება მოიწონა და ხსენებულის ეკკლესიის წინამძღვრის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა.

სარევიზიო კომისიის წევრებმა, რომელმაც გამგეობის 1897 წ. ანგარიში უნდა განიხილოს, ხმოსნები ბუდაღ-ბაღდასაროვი და ლისიციანი იქმნენ დასახელებულნი; პირველს ამოუვიდა 31 თეთრი კენჭი და 4 შავი, ხოლო მეორეს—43 თეთრი და 2 შავი.

გამგეობის წევრმა თავ. ა. არღუთინსკიმ ხმოსან ბაბოვის განცხადება წაიკითხა ავლაბარში სავაჟო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. ბ-ნ ბაბოვის აზრით ამ საქმისათვის 24 ათასი მანეთია საჭირო, რომელთაგან ხაზინა იკისრებს 19 ათასს და ქალაქი 5 ათასს და ადგილს შენობისათვის. საბჭოს სამოსწავლო კომისიას მოუწონებია ბ-ნ ბაბოვის აზრი და 5 ათას მანეთის ნაცვლად, 6 ათასი დაუკისრებია ქალაქისათვის. მხოლოდ ერთი წევრი ამ კომისიისა ბ-ნი კალოუბნელი ყოფილა წინააღმდეგი პროგიმნაზიის დაარსებისა. მისის აზრით პროგიმნაზია, ისე, როგორც სხვა ყოველ გვარი სასწავლებელი, ძლიერ კარგია, მაგრამ ქალაქმა უპირველესს ყოვლისა პირველ დაწყებით სასწავლებლების დაარსებისთვის და სხვა ათას გვარ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის უნდა იზრუნოს. ამიტომ პროგიმნაზიისათვის ფული არ დარჩებაო. გამგეობას დაუდგენია, რომ მთავრობასთან ვიშუამდგომლოთ ამ საქმის შესახებ, ხოლო ჯერ ჯერობით გარდაწყვეტილს ნურას ვიტყვით, თუ ქალაქი რამდენს დაჰხარჯავსო. ამის გამო გამგეობის წევრს თავ. ა. არღუთინსკის გამგეობაში თავისი ცალკე მოსაზრება წარუდგენია, სადაც იგი ამბობს, რომ გამგეობა თავისის დადგენილებით უფრო წინააღმდეგია პროგიმნაზიის დაარსებისა, ვიდრე მომხრეს. თავ. არღუთინსკი ურჩევს გამგეობას, რომ გადაჭრით აღნიშნეთ ეხლავე რამდენს დაჰხარჯავს ქალაქი ამ საქმისთვისაო. ბოლოს თავ. არღუთინსკი გამგეობას უთვალისწინებს, რომ

ბიც ბევრი ყოფილან. მეტრიკაში ბერძნის მღვდლებმა თარგმნეს ჩვენი გვარი და ქეშიშ-ოღლით გამოვყევართ ქაღალდებში. ვისაც შევეკითხე გვარს, სულ „ოღლიანები" გამოდგნენ. სწორეთ ოჰყალო ჯადო უნდა, რომ ამოტელა ქართველი ხალხი მეტრიკაში „ოღლებად" აქციოს, და ბერძნულ მღვდლებ-დიაკვნებს-კი ამ ოციოდე წელიწადში არამც-თუ ეს მშვენივრად მოუხერხებიათ, თვით ს. რეხაც კოტლიად გადაუკეთებიათ, თავიანთ ბლაღოჩინების შეწყობით, და ორას კომლ ქართველთათვის უწირ-ულოცნიათ გაუგებარს ბერძნულს ენაზედ. არც ქადაგებაო, არც სამრევლო სკოლაო—არა რაიმე სულიერო საზრდო... აბა მოძღვრობაც ასეთი უნდა აი!!. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ასე ხდებოდა და ხდება ძალითვე მისითა, რის ძალითაც ს. ახაში წაუწერიათ ოდიკზედ..

სახლი, რომელშიაც მე ჩამოვხდი, მალე სოფლელებით აივსო, რადგან მოვიდნენ „ქართველი ღვდლის სანახავად", მოწიწებით ითხოვდნენ კურთხევას. როცა სუფრა გაშალეს და ჩვეულებრივი ლოცვა წარმოვთქვი, ხალხი სიამოვნებით იწერდა პირჯვარს და გულ-დასმით ისმენდა ქართულს ღვთიურს სიტყვებს. იქვე ერთი მოხუც დედაკაცს ცრემლები მოუვიდა, ვკითხე მიზეზი და მიპასუხა:

— ჩემს შვილს სულ იმას ჩავჩიჩინებ, მამაო, ამ უბედურობას გავექცეთ და გადავსახლდეთ სადმე მეთქი, მაგრამ ვერა გავაგებინე რა. განა ასეთი ცხოვრება, ცხოვრებაა!..

— რის გამო ბრძანებ მაგას?

— იმის გამო, მამაო, რომ პირჯვარს ვიწერ ეკკლესიაში მარტო და სხვა არა გამეგება რა, დამარხვაო, განათვლააო და არ ვიცით, გვლანძღავენ, თუ გვლოცავენ. ასეთი საქმე სხვაგან სადმე გაგონილა? მერე აი ჩემი რძალი თათრის ქვეყნიდგან—ჯავახეთიდგან გადმოვიყვანე, ქართულს პატიოსნურად ჰლაპარაკობს, ჩემი ქალები-კი აქ დავზარდე და ქართული ვერ ვასწავლე, თათრულს ლაპარაკობენ. მოზარდობა სულს გვიწყმენდენ—ქართულს თავს ანებებენ. წიგნია კიდევ-და მთელს სოფელში არავინ იცის. აბა ღმერთი რა ხეირს მოგვცემს. აი, ეს დიაკვანი ან თავისთვის რა არის, რომ ჩვენთვის რა იყოს?!.

მიიშვირა ხელი თავიანთ ბერძენ დიაკვნისაკენ, რომელსაც ჩიბუხი გაეჩაღებინა და თათრულად ყიტყიტებდა ორიოდე ჯეელთან. საშკოლისოსაც თურმე კომლზედ მანეთს ართმევენ რეხელებს და აძლევენ იქვე ბერძნის ავრალნოს სოფლის შკოლას, სადაც ბალღებს ჯერ ბერძნულს აწყობინებენ და მერე რუსულს. რა უნდა ისწავლოს იქ ქართველმა ბალღმა. კიდეც ამიტომ იქ რეხელს შვილი არც მიუყვანია და არც არასოდეს მიიყვანს...

ვანუგეშე, ეხლა ქართველი ბლაღოჩინია წალკაზედ, ყოველივე შეატყობინეთ, თვით ახალი ექსარხოსი სასტიკი მართლ-მსაჯულია ამ შემთხვევაში და, იმედია, ამდენს ქართველობას ქართველს მღვდელს და დიაკვანს მოქცემენ და ისინი-კი ქართულს სკოლასაც დააარსებენმეთქი.

ამავე სოფ. რეხას მეორე უბედურებაც დასტეხია ამ ზაფხულს. მთავრობასა და თავ. ციციშვილებს შორის გამიჯვნის დროს ატეხილა დავა თრიალეთზედ. საქმე სენატამდე მისულა და თავ. ციციანთ მოუგიათ. ეს ერთი თვაა მთელი რეხა სახლებ-ეზოებით, მინდორ-სათიბით თავ. ციციანთ შემოუყურლნიათ. შეყელთებულა მთელი რეხა და მალე გუბერნატორთან უაზრო-ურარაოდ მისულან. იმასაც დაუშოშმინებია და უთქვამს: „ადგილობრივ ამოვალო". აბრძანებულა კიდეც, მაგრამ საქმეს აბა რაღა ეშველებოდა?! რეხელები დღესაც მეტად აღელვებულნი არიან და ამასთანავე ზოგს გადაუწყვეტია სხვაგან გარდასახლება, წასულან ადგილების საძებნელად ყარსისა და კავკავისაკენ. ბევრი უთხარ, რომ გადასახლება მოუხერხებელია და შეუძლებელიც, ვურჩიე: „შეეხვეწენით თ. ციციშვილებს, რაც თქვენ გჭერიათ, ის მოგყიდონ, ზოგს ბანკიდგან ივალებთ, ზოგს თქვენ მისცემთ და ამით სულს მოითქვამთ-მეთქი.

გადმოვცდი რეხის მიდამოებს და მაღლობიდგან გადმოვხედე, თითქოს ხელი გულზეო, ისე გაშლილს წალკის მშვენიერ ვაკეს, სოფლებით მჭიდროდ დაფენილს... დინჯად და მდორედ მიიკლაკნება ზედ სოფლებ შუა მდ. ქცია, ზღაპრულ გველაშაპსავით ჰხვრელავს სოფლებს და წალკის ბოლოში ვარდება უშველებელ ხრამებში, სადაც ნადირივით ტინებზედ ჰკვნესის მისი ტალღები. სიგრძით ოცი ვერსი იქმნება წალკის ვაკე—სიგანით 5, ან 7. ეს ძველი სახელ-წოდებაა ამ ხეობისა, რადგან შუაგულზედ ქციის მიერ გაჭრილ კალაპოტს ისეთი დაბალი ნაპირები აქვს, რომ მოდიდების დროს წაჰლეკავს ხოლმე მთელ ხეობას. მდიდარი მოსავლისათვის შავი მიწა წევს ამ ვაკეზედ. უხსოვარ დროიდგან მჭიდროდ ყოფილა ეს ვაკე დასახლებული ქართველებით, მათ მიერ ნაშენ საღრებითა და ციხე-გალავნებით სავსე იყო ამ სამოცის წლის წინად ეს ვაკეო, ამბობენ რეხელები, რადგან ბოლო ჟამს ასტარხანის შემოსევამდე იკლებდა ურჯულო ამ მხარესაო...

ამ ვაკის ნაოხრებზედ ყირიმის ომის დროს პასკევიჩმა გადმოასახლა ოცამდის სოფელი ბერძენთა და სომეხთა. ახალ გაციებულ ქართველ ნასოფლარებს ყველას თავისი სახელი ერქვა, ყველასა ჰქონდა მრავალი ეკკლესია-კოშკი. ამათ მუსრი გაავლეს ბერძნებმა და თვით სახელები ოსმალურად სთარგმნეს: სოფელ საყდრიონს ედი-ქლისა უწოდეს (შვიდ საყდრიონიო), ციხისსოფელს— უნია-ყალა, თეზაბს—აგარინო და სხვანი. სომხებმა-კი უფრო არ შესცვალეს ძველი სახელები, იმათ სოფელს აიაზმას ისევ ეს სახელი ჰქვიან და ძველი ქართული ეკკლესია, რომლის ქვეშაც გამოსჩქეფს სამკურნალო წყალი, ისევე შეუნახავთ, ამ წყალში აბანავებენ ხოლმე ავადმყოფებს და იკურნებიანო, ამბობენ ისინი. ასეთივე რწმენა ჰქონიათ ძველ ქართველობასაც აქ. სხვა სომხის სოფლებსაც ასევე ჰქვიან; გუმბათი, ყუშტი—ბერძენთ-კი ყველა თათრულად გაულექსიათ.

მდიდარი მოსავალი იცის წალკამ: დღიურზედ წელს ორმოც კოდზე მეტი მოსდიოდათ. ეს ბარელთათვის დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ სრუ-

მომავალს წელში ქალაქს შემოსავალი იმატებს ცხენის რკინის გზის წარმოებით, ტრაქტირების გარდასახადის მომატებით და სხ. და ამიტომ შეიძლება გამგეობამ ეხლავე გადასდოს ამ საქმისთვის ფულიო. ეს განცხადება გამგეობას განუხილავს და ის აზრი გამოუთქვამს, რომ, მართალია, მომავალში მომეტებულს გარდასახადს მოელის ქალაქი, მაგრამ ხარჯიც ემატებაო. მაგალითად, ცხენის რკინის გზიდგან რაც მოგება დაგვრჩება, ამით ის ვალი უნდა გავისტუმროთ, რომელსაც ამ გზის გამოსაყიდად და მოსაწყობად ავიღეთო და სხ. ამის გამო ქალაქი ეხლა პროგიმნაზიისთვის იმ ფულის გადადებას ვერ იკისრებს, რომელიც ხელში არა აქვსო.

ხმ. ქოჩორიანცი. ავლაბრისთვის, საცა 30—35 ათასი მცხოვრებია, ბევრად აჯობებდა, ცალკე ქალაქი რომ ყოფილიყო იგი. არაფერს ყურადღებას არ ვაქცევთ ჩვენ იმას. იქ მომეტებულ ნაწილად ხელოსანი ხალხი სცხოვრობს, რომელიც დღიურის შრომით ინახავს თავს. ამიტომ იმათთვის პროგიმნაზია და კლასიკური ენები საჭირო არ არის; იმათ ტეხნიკური სწავლა უნდათ. ვისაც გიმნაზიაში შესვლა ჰსურს, ის ავლაბრიდგანაც კარგად ივლის არსებულს გიმნაზიებში. შულავერიდგან და სხვა კუთხეებიდგან თუ-კი მოდიან ტფილისში სასწავლებლად, ავლაბრიდგან ვერ მოვლენ? პატარაობისას მე ავლაბრიდგან დავდიოდი ქალაქში.

ხმ. ა. ს. ზაზოვი. ბ-ნი ქოჩორიანცი ჰბრძანებს, ავლაბრიდგან დავდიოდი ქალაქშიო. მაშინდელი დრო სხვა იყო და ეხლანდელი სხვაა. ქოჩორიანცის დროს ფულებს-ც აძლევდნენ მოსწავლეებს, რომ წაეხალისებინათ, მაგრამ ეხლა ზედი ზედ ორჯელ რომ არ მივიდეს ბავშვი სასწავლებელში, გამოჰრიცხვენ კიდევაც. 1895 წ. ავლაბრიდგან და ნავთლუღიდგან 140 ვაჟი დადიოდა ქალაქის საშუალო სასწავლებლებში; არ ვიცი, ქალი რამდენი იყო, მაგრამ ისინიც რომ იყვნენ, ეს ცხადია. ეხლა ამ რიცხვზედ უთუოდ მეტი იქმნება. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ავლაბარში რომ პროგიმნაზია იყოს, ამაზედ ათჯერ მეტს ექმნებოდა შეძლება სწავლისა. ჩვენ ნება არა გვაქვს ამდენს მოზარდს თაობას სწავლის გზა დავუხშოთ.

ხმ. იოანნესიანი. სასურველია მეოთხე გიმნაზიის დაარსება, მაგრამ ამან ქალაქის სხვა საქმეები არ უნდა დააბრკოლოს, როგორც, მაგალითად, ქუჩების მოკირწყვლა, განათება და სხ. გარდა ამისა მე ჩემის მხრივ წინააღმდეგი ვარ კლასიკურის გიმნაზიისა და ამიტომ საბჭომ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ,—როგორი სასწავლებელი ჰსურს და შემდეგ განსაჯოს, აქვს ამ საქმისათვის ფული თუ არა, ანუ რამდენს დაჰხარჯავს და სხ.

ხმ. ხუდადოვი. გიმნაზიიდგან ყველა უმაღლესს სასწავლებელში შეიძლება შესვლა, ხოლო სხვა საშუალო სასწავლებელს ამის უფლება არა აქვს. ავლაბრელებს ყველაფერს ვახდევინებთ ქალაქის სასარგებლოდ, ხოლო მიცემით-კი არას ვაძლევთ. იქ პროგიმნაზიის დაარსება ეხლა აუცილებლად საჭიროა. სხვა არა იყოს რა, გამგეობამ ის მაინც უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ პროგიმნაზიის დაარსებით ავლაბარში მამულებს კარგი ფასი დაედება და ჩვენც დასაფასებელს გარდასახადს მოვუმატებთ.

ხმ. ზუბუთოვი. მამულებს ფასს მოუმატებს კარგის გზების გაყვანა და არა პროგიმნაზია. მე დავათვალიერე ქალაქის განაპირა ადგილები და შევნიშნე, რომ ახალს ჰოლანდიაში და ნაძალადევში მშვენიერი სახლებია აგებული, მაგრამ არაფრად-კი არა ჰფასობს უგზოობის გამო. ამიტომ რაც თავისუფალი ფული გვაქვს, გზების გაყვანასა და მოკირწყლას უნდა მოვახმაროთ.

ხმ. ქალანთარი. ქუჩების მოკირწყვლა და განათება დიდი საქმეა, მაგრამ სწავლა-განათლებას არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი. მე იმას არ დავიჟინებ, უთუოდ კლასიკური პროგიმნაზია დავაარსოთ-მეთქი; რა გვარს სასწავლებელსაც დავაარსებთ, ყველა კარგია. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ, საშუალ სასწავლებლების სიმცირისა გამო, ტფილისიდგან მშობლებს სხვა ქალაქებში მიჰყავთ შვილები სასწავლებლად.

შაჰ-აზიზოვი. სასწავლებლები კარგია, მაგრამ ფული სად არის? ავლაბარში ცხენის რკინის გზა გავიყვანოთ და ამით იქაურებს გავუადვილოთ შვილების ტარება გიმნაზიებში.

ხმ. ოპოჩინინი. ამბობთ, რომ ფულები არა გვაქვსო, მაგრამ არასოდეს არ გვექმნება, წინდაწინვე თუ ხარჯს არ გავწევთ. ქალაქს თუ ჰსურს, რომ რაიმე შემოსავალი ჰქონდეს მომავალში, სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის, როგორიც მაგალითად, ქუჩების მოკირწყვლა, განათება და სასწავლებლების დაარსება, მუდამ უნდა ჰხარჯოს ფულები. ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსებას სამართლიანობა მოითხოვს, რადგან იქ, ავლაბრელ ბავშვებს გარდა, ნავთლუღიდგანა და ჩუღურეთიდგანაც ივლიან.

კარგა ხნის სჯის შემდეგ საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე დაარსებულ იქმნას პროგიმნაზია ავლაბარში იმ ადგილას, სადაც უფრო მოხერხებულად სცნობენ და ამ საქმისთვის ყოველ წელს ქალაქმა იხადოს 6 ათასი მანეთი.

ამის შემდეგ ქ. ა. ვერმიშევმა ქალაქის მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, რომ რუსეთის ასის წლის მფლობელობა ტფილისში სახსოვარ ვყოთო. გამგეობას საუკეთესოდ უცვნია ამ ერთის საუკუნის დაწვრილებითი ისტორია შეადგინოს ტფილისისა; ხოლო წინანდელს საუკუნოებში რა ცხოვრება გამოიარა ამ ქალაქმა, ეს წიგნის ერთს თავში მოკლედ იქმნება აღნიშნული. ასეთის წიგნის შესადგენად გამგეობას მიუწვევია კავკასიის კარგად მცოდნე კაცები და რამდენიმე ხმოსანი. წიგნის გამოცემა ეღირება 15 ათასი მანეთი.

ხმ. ხუდადოვი. გამგეობამ საბჭოს დაუკითხავად დაიწყო ეს საქმე. მე არა მჯერა, რომ ტფილისში შესაძლო იყოს და ტფილისის პირუთვნელ ისტორია დასწეროს ვინმემ. ასეთის წიგნისთვის, რომელიც ჩქარა დაჰკარგავს ღირსებასა და ფასს, 15 ათას მანეთის დახარჯვა ვერაფერი ანგარიშია. ამის ნაცვლად ასეთი ღირს შესანიშნავი დღე სხვა რამეთი უნდა აღვვენიშნა.

ქ. ა. ვერმიშევი. ბ-ნს ხუდადოვს ძლიერ უკვირს, გამგეობამ საბჭოსაგან ნება-რთვის აღებამდე რათ მოიწვია კაცები და რად შეუდგა თავდარიგსაო. ეს ყოველთვის ასე ყოფილა და ასეც იქმნება. მე არ მესმის, რა დავკარგეთ ასეთის მცოდნე კაცების მოწვევით. იმათთვის ჩვენ არა მიგვიცია-რა და არც იმათ უთხოვნიათ რამ ჩვენთვის. ხუდადოვს ვერ გაუგია, რომ ტფილისის ისტორიას დიდი მნიშვნელობა ექმნება, მარტო ქალაქის თვით-მართველობის ისტორია რად ეღირება ჩვენთვის.

ხმ. ხუდადოვი. ვის გაუგონია და ვის უნახავს, რომ სხვისის მინდობილებით ვისმეს სასარგებლო ისტორია შეედგინოს. კვლავ ვიმეორებ, რომ ეს ისტორია არ ივარგებს, იგი პირუთვნელი არ იქმნება და ფულს ტყუილად დავხარჯავთ.

ხმ. იოანნესიანი. ბ-ნი ხუდადოვი ამბობს, რომ ამ გვარად არც ერთს ქალაქს არ შეუდგენია თავისი ისტორიაო. არც ერთს-კი არა, ბევრმა ქალაქმა სწორედ ასე შეადგინა თავისი ისტორია, მაგალითად, ოდესამ, სამარამ და სხ. ხუდადოვს ტყუილად ჰგონია, პირუთვნელი არ იქმნება ეს ისტორიაო. პატიოსან მღვაწეთ, რომელნიც ამ საქმეში გვეხმარებიან, ჩვენ ვერ დავწამებთ, პირუთვნელად არ ჰმუშაობენო. 15 ათას მანეთს ხარჯს რომ აღნიშნავს ბ-ნი ხუდადოვი, ეს ფული ისტორიის შემდგენელთ-კი არ მიაქვთ, გამოცემაზედ იხარჯება. წიგნის შედგენას სულ ასი თუმანი უნდება, რომელიც უფროსს რედაქტორს უნდა მივცეთ.

ხმ. ოპოჩინინი. რად არის ბ-ნი ხუდადოვი დარწმუნებული, რომ ეს ისტორია პირუთვნელი არ იქმნებაო, ვერ გამიგია. იმაში მარტო ის იქმნება ჩამოთვლილი, რაც გაკეთდა ტფილისში, და არა კერძო კაცთა ცხოვრებანი. ჩვენ შორის არც ალექსანდრე მაკედონელია და არც პუგაჩოვი, რომ ერთი ვაქოთ და მეორე მიწასთან გავასწოროთ. მხოლოდ ჩვენ იმ ხარჯს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რაც ამ წიგნის გამოცემას დასჭირდება. იმნება როგორმე შემცირდეს ეს ხარჯი. ვითომ რა საჭიროა, წიგნი ძვირფასი რომ იყოს; ეს ბევრს ხელ-მოკლე კაცს საშუალებას მოუსპობს წიგნის შეძენისას.

საბჭომ გარდასწყვიტა: 1) გამოსცეს ტფილისის ისტორია უკანასკნელის ასის წლისა და 2) მიენდოს ამ საქმის სისრულეში მოყვანა გამგეობასა და ხმოსანთა შორის არჩეულს კომისიას.

◆

რუსეთი

სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ამ დღეებში შეუდგებიან იმ ქარხნებისა და ზავოდების შენობების ხელ-ახლა დაფასებას, რომელნიც იმ გუბერნიებშია, სადაც ერობა არ არის შემოღებული.

— როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებულის ცნობებიდგანა სჩანს რუსეთის იმპერიაში ყვე-

---

ლი სიმართლე-კია. იმიტომაც ბერძენთ სარჩო უშოვიათ. მშვენიერს საძოვარს საქონლის შოვნა-მომრავლებაშიაც ხელი არ შეუშლია, მაგრამ ველურობა სახლში, სოფელში ლაფი, წუმპე და უსწავლელობა,— ყველა ბატონია აქ. დაუმატეთ ამას ის, რომ, თათრულის გარდა, აქ სხვა ენა არაა და მიჰხვდებით, რომ არც გაზეთი, არც წიგნი და არც წიგნაკი აქ არავის საჭიროებას არ შეადგენს. 20-მდე უზარ-მაზარი საზოგადოებაკია აქ გაშენებული. არის სამინისტროს სკოლის შენობანი, მაგრამ მაგდენი სარგებლობა არა მოაქვს-რა: რომელიმე შეძლებული ბერძენი თუ ჰზრდის აქ შვილს, რომ რუსულის ენის ცოდნით ცოტა გაიმართოს და მერე სხვაგან სასწავლებელში გაჰგზავნოს და სამსახურის ასპარეზი გააკვლევინოს... სხვაფრივ სწავლას არავინ ეტანება.

* * *

შევუხვიე წალკის საყველ-საწველ ორ-კლასიან სასწავლებლისაკენ, რომელიც 1896 წელს დააარსა სახელმწიფო ქონებათა მმართველობამ. ლაზათიანი შენობა შორიდგანვე ამშვენებს ციხის სოფელს, ანუ, როგორც ბერძნები ეძახიან, უნია-ყალას. გარეშემო სკოლას ჰშლუდავს უზარმაზარი გალავანი, რომელიც 300 და 400 წლისა მაინც უნდა იყოს და ქართველების ნაშენია. სასწავლებელში ძალიან მცირეა მოსწავლეთა რიცხვი. ბერძნები იმ სკოლას, რომელიც სამსახურში წარმატებას არ აძლევს, არაფრად აგდებენ. თვით ყველის წარმოება არ დაუწყიათ. სულ მცირე ოთახში მოთავსებულია მანქანა, რომელიც მეტის სისწრაფით და კარგად აცლის ნაღებს რძესა. იქვე სდგას სადღვებელი, რომელიც ნაღებიდგან სდღვებს კარაქს, და მესამე მანქანაც კარაქის გამქაჯავია შრატიდგან. საქონელი მცირე ჰყავთ: 5 ფური შეუსყიდნიათ ბარონ კუჩენბახისაგან და ძალიანაც მოტყუებულან; ჰყავთ აგრეთვე ადგილობრივ ნაყიდი ფურები, რომელთაც უფრო ემადრიელებიან. ჯერ სკოლას ბევრი შესწორება უნდა, რომ პასუხი გასცეს იმ მძლეთ კითხვას, რომელსაც თრიალეთის ნოყიერი მოლი სჭიმამს მკვიდრთა წინაშე,.

ამას გვიმტკიცებს იქვე მყოფი ნემენცთა ახალშენი ეკატერინოგილფი: გიამება, როცა უცქერი და ათვალიერებ ამ 60 კომლ გერმანელთა მოსახლობას. სასიამოვნო სანახავია უზარ-მაზარის სიგანის ქუჩები, ეზოებში ხეები და ხეხილი, რომელიც მთელის თრიალეთის სოფლებში სანატრელია. მაგრამ თქვენ მიაშურებთ უეჭველად ამ სოფლის სათემო ყველის ქარხნისაკენ, სოფლის ბოლოსაა იგი გაჭიმული. აქ ნაკეთები ყველი 12 მანეთად იყიდება ფუთი. უზარმაზარ კვერებს აწყობენ ფურგუნებში და მიაქვთ ტფილისში. ნემენცი, რომელსაცა 10 ძროხა ჰყავს, 700 მანეთამდის იღებს ყველისას აპრილიდგან დაწყებული ვიდრე ღვინობისთვის გასვლამდე. ქარხანაშივე იწველება ყველას ძროხა, კეთდება იქიდგან ყველი და შემოსავალი ძროხების რიცხვის კვალად იყოფება. ამ სოფლის მცხოვრებთა გარდა არავის საქონელს არ იყენებენ წილში და ამ ახალშენელთ სიმდიდრე და შემოსავალიც მხოლოდ ეს საქმეა, საქმე, რომელიც უშრეტი წყაროა თრიალეთისთვის. ვენახები ისეტყვება, ღვინოს ბაზარი დიდი აქვს, მაგრამ ღვინის ადგილებიც ბევრია ქვეყნიერობაზედ, მხოლოდ ასეთი მრჩო იალაღიანი მხარე ცოტაა ხმელეთზედ და ყველიც აუცილებელი საჭიროებაა ღვინოზედ... თრიალეთის მოლი საკვირველებაა: ბარიდგან რომ ამოიყვანო თხა, რომელიც ერთ ჯამს იწველიდა, აქ ხუთ-ექვს ჯამს მოიწველის და მერე ისეთს რძეს, რომელიც ნაღებით სავსეა... იმიტომ ვისურვებ სიკეთეს წალკის სასწავლებლისას, იმიტომაა სანატრელი აქ საქმის რიგიანი წაყვანა. ქარხნები არის თრიალეთზედ, მაგრამ გერმანელებისა. ჩვენ, ბერძნებმა, თათრებმა რაღა ვქნათ?...

* * *

იქმნება ნემენცობა კულტურული ძალაც იყოს, მაგრამ ეკატერინოგილფიკი ამ ძალად გადაუქცევია მეტი მეტ მფარველობას: საუკეთესო საძოვარი-იალაღი წაურთმევიათ ქართველ სოფელ დიდ-გომარეთისთვის და იმათთვის მიუციათ. სახნავ-სათესი, ქართველობასთან შედარებით, იმათ მეტად ბევრი აქვთ, იქვე გვერდზედ ოთხას-კომლიანი სოფელი დიდი გომარეთი-კი თავისი პაწაწა სოფლებით ჰკვნესის უმამულობით. იმათი ზმანება და ოცნება ისაა, რომ ხვნით გაძღნენ და იალაღი ჰქონდეთ საქონლისთვის. იმდენი საქონელი, რაც დიდ-გომარეთში მოგროვდება, მთელ ნახევარ თრიალეთს არ ეყოლება. აქ აუარებელი ათ-უღლიანი გუთნეული გამოდის და აქაურ გუთნის-დედას ქვესკნელს ჩააქ შავ-მიწაში მადლიანი გუთანი.. გომარეთს აუარებელი სიმდიდრე აქვს საქონლისა და ცხვრისა, ეკატერინო-გილფს ოთხი-ხუთი გლეხი გაჰყიდის ამ მხრივ, მაგრამ დიადი უკულმართობა აწევს. ცოტა საქონლიან ნემენცებისთვის გარდაუციათ ამ ბლომა საქონლის პატრონთა მამულ-საძოვარი. ამას გარდა აქა და შენ სხვაზედ ადრე დაჰსახლდიო, რამდენიც ბერძენთა სოფელი დაუსახლდებოდა გვერდზედ, იმდენ კომლისა-და-გვარად ამ ქართველებს ჩაუქრიდა ხოლმე მიწას სახელმწიფო ქონებათა მმართველობა და იქამდის შეუვიწროებიათ ეს უბედურნი, რომ ცხრაას თუმანს აძლევენ ყოველ წელს მარტო მამულების იჯარას!.. აქაურნი გლეხნი აწარმოებენ დღესაც ეკატერინოგილფის სასოფლო ყველის ქარხანას, მაგრამ ამათ საკუთარი იალაღი არა აქვთ, რომ გამართონ ესეთივე ქარხანა თავიანთთვის. სულითა და გულით არიან ამას მონდომებულნი, მაგრამ სახსარი არაა... ამათ რომ ქარხანა მოუხერხდეთ, მთელ თრიალეთზედ უუმდიდრესი საზოგადოება ეს იქნებოდა. მაგრამ ესენიკი, შევიწროებულნი უმიწა-წყლობით, ყოველ წელს ჰმოგზაურობენ გადასასახლებელ ადგილთა საპოვნელად. დიდს გაჭირვებას უშველებელი ფასი შეუძლევინებია ამათთვის მეზობელ მებატონეთა საძოვარ-სათესებში და ამას ის შედეგი მოჰყოლია, რომ ეხლა არც ერთი მათგანი ამათზედ მამულს აღარა ჰყიდის, თუმცა ყიდვისთვის გომარელთ სული ეცანცლებათ...

ასეთია ქართველთა მდგომარეობა თრიალეთზედ და სახსარი-კი აქაურთკეთილ-დღეობისათვის მრუდეა და მახინჯი. მაინცა და მაინც ყველის სასოფლო ქარხნები აქაურ ქართველთა სოფლების მომავალია...

მღვდელი ზ. გულისაშვილი

ლაზედ მდიდარი ქალაქი ირკუტსკი ყოფილა. ამ ქალაქს თანხის რაოდენობით (4,8 მილიონი აქვს) მესამე ადგილი უჭირავს რუსეთის ქალაქებს შორის, სამაგიეროდ ვალი არა აქვს. პეტერბურგს 6,607,959 მანეთი თანხა აქვს, ვალი-კი 18,897,315 მანეთი, მოსკოვს—6,119,080 მან. თანხა, ვალი—13,814,657 მან.

— ტომსკის ეპარქიის სამღვდელოების შორის ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას საეპარქიო, საურთიერთო ეკკლესიათა და საეკკლესიო შენობათა სავალდებულო დამზღვევი საზოგადოება.

— წითელი ჯვრის რუსეთის საზოგადოების კიევის განყოფილებამ გადასწყვიტა დააარსოს კიევში დედათა სამკურნალო ინსტიტუტი.

◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. უკანასკნელ ხანებში გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ ბრისონის სამინისტროს დღენი დათვლილიაო. პალატა შეიკრიბება თუ არა, ამ სამინისტროს მაშინვე უნდობლობას გამოუცხადებს და რადიკალურ სამინისტროს ადგილს ზომიერ რესპუბლიკელები დაიჭერენო.

ეხლა-კი ამტკიცებენ, რომ ბრისონს პალატის დიდი უმრავლესობა მხარს მისცემს და ამის გამო ეხლანდელი კაბინეტი კიდევ დიდს ხანს იცოცხლებსო. ბრისონთან მუდამ დღე დადიან თურმე გამოჩენილი საპოლიტიკო მოღვაწენი და დახმარებას ჰპირდებიან. ისეთებიც-კი მიდიან ბრისონთან და ეუბნებიან, შენი მომხრე ვიქნებითო, რომელნიც მელინის სამინისტროს მომხრეები იყვნენ, როგორც, მაგალითად, ვალდეკ-რუსო. დიდს მნიშვნელობას აძლევენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ოპორტიუნისტთა ერთის ახალის დასის მეთაურს უმწვერვალეს მემარცხენეთა დასის წარმომადგენელ მილიერანთან მოლაპარაკება ჰქონია პალატაში თანხმობით მოქმედების შესახებ. უეჭველია ეს იმას მოწმობსო, ამბობენ გაზეთები, რომ საფრანგეთში მომწიფდა ის აზრი, რომ პარლამენტში რესპუბლიკელებმა უმრავლესობა შეადგინონ და ამათ მთავრობას ქვეყნის მართვა-გამგეობა გაუადვილონ, ხოლო პარლამენტს კანონმდებლობაო. ზოგიერთის აზრით, რესპუბლიკელების შეერთება პარლამენტში ეხლანდელ წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა გამოიწვიაო.

—

ეგვიპტე. ინგლისის გაზეთები ძლიერ ემდურებიან ეგვიპტეს ქედივს. იმას ისინი ბრიტანიის მტრადა სთვლიან. მაშინ, როდესაცაო, ამბობენ გაზეთები, დედოფალმა ვიქტორიამ, იმპერატორმა ვილჰელმმა და ინგლისის მთავარ-სარდალმა უოლსლეიმ კიჩენერს დეპეშა გაუგზავნეს და ომდურმანთან გამარჯვება მიულოცეს, ქედივს აბას-ფაშას გრანტი არ დაუძრავს და კიჩენერის შემოსვლას ქალაქში არც-კი დასწრებიაო. ქედივის კონსტანტინეპოლში ყოფნასაც თავიანთ სასარგებლოდ არა ჰხსნიან ინგლისელები და იმპერატორ ვილჰელმმა ეგვიპტეში წასვლის უარი რომ სთქვა, ამას ქედივს აბრალებენ.

ქედივს თუ უნდაო, ამბობენ ხსენებული გაზეთები, რომ თითონაც და მისი შთამომავლობა ეგვიპტეში ჰმეფობდნენ, ინგლისის ყოველი სურვილი უნდა შეასრულოსო.

◆◆

სასამართლოს მატიანე

თავ. თუმანოვთა მამლების საქმე.

გუშინ-წინ, 12 ოქტომბერს, ტფილისის 1 განყოფილების მომრიგებელ-სასამართლოში ირჩეოდა ახირებული საქმე. მკურნალმა ალექსანდრე იოსების ძე ზემანმა შემდეგი საჩივარი შეიტანა ძმათა გიორგი, ვასილ და კონსტანტინე თუმანოვებზედ. „იმ სახლის პატრონები, რომელშიაც მე ვცხოვრობ, ძმები გიორგი, ვასილ და კონსტანტინე თუმანოვები ეზოში ინახავენ ქათმებსა და ორს მამალს. მამლები საშინლად და ხშირად ჰყივიან (განსაკუთრებით დილაობით) და თავისის ყივილით ძილს უფრთხობენ ჩემს შვილს. ბავშვი პატარაა, ძროხის რძითა ვზრდით, ამიტომ ძლიერ სუსტია და მომეტებული ძილი უნდა, ვიდრე სხვა ძუძუმწოვარა ბავშვებს. დილით მამლები ყივილს მოჰყვებიან თუ არა, ბავშვი ჰკრთება და ტირილით იღვიძებს. რათქმა უნდა, ეს გარემოება ბავშვის ჯანმრთელობისათვის მავნებელია. დილით მამლები დილის 4½ საათიდგან იწყებენ ხოლმე ყივილს, ხშირად უფრო ადრეც. ჩემი ბავშვი იღვიძებს და გვაღვიძებს მეცა და ჩემს ცოლსაც უფრო ადრე, ვიდრე ეს სასურველია. ამგვარად ძმათა თუმანოვების მამლები ავნებენ ჩემის შვილისა, ჩემის ცოლისა და ჩემს ჯანმრთელობას. მე მრავალჯერ მითხოვნია თუმანოვებისათვის, ისეთს ადგილას დაეკეტნათ თავიანთი მამლები, რომ ეზოში იმათი ყივილის ხმა არ გამოსულიყო. თუმანოვები-კი მამლებს ისეთ ადგილასა ჰკეტავენ, საიდგანაც იმათი ყივილი ისე ისმის, რომ სულ ერთია, დაკეტილში ყოფილან, თუ ეზოში უვლიათ, თუმცა კარგად იციან, რომ მამლების ყივილისა გამო დიდს წამებაში ვართ: ჩემი შვილი, მე და ჩემი ცოლი.

ყოველსავე ზემოხსენებულისა გამო ვთხოვ სასამართლოს: 1) მოახდინოს განკარგულება, რომ გამაშორონ მამლები, ან ამის ასრულების ნება მე მომცეს და 2) სისხლის სამართალში მისცეს ჩვენის წამებისათვის გიორგი, ვასილ და კონსტანტინე თუმანოვები.

საქმის განხილვას დაესწრნენ თავ. კონსტანტინე თუმანოვი და დანარჩენ ორ ძმათა ვექილი დოლუხანოვი, რომელთაც სთხოვეს მოსამართლეს, რადგანაც ზემანი სასჯელთა დებულების მე 1989 მუხლის ძალით უჩივის თავ. თუმანოვებს, ამიტომ ეს საქმე მომრიგებელ სასამართლოს არ ექვემდებარება და ამიტომ გთხოვთ საქმე მოსპოთო.

მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ ბ-ნმა ქართველიშვილმა შეიწყნარა ეს თხოვნა და გარდასწყვიტა, საქმე გამომძიებელს გადაეცესო.

◆◆

დამაკვირდი

ბედნიერია ის უბრალო მუშა, რომელსაც ცხოვრების სიმწარისა არა გაეგება-რა და მხოლოდ იმის ცდაშია, რომ ცოლშვილი ანუ სხვა მახლობელი შიმშილით არ ამოაწყდესო; რომელსაც საგნად მხოლოდ ეს და აქვს და წამ-და-უწუმ გულს საშინელი უაზრობა და უსაგნობა არ უღრღნის...

ბ. დ—შვილი

• • •

ალი აღაგზნის მცირემან ნაპერწკალმან და ნაკბენმაცა კრიმან იქედნისამან სასიკვდინენი სენნი განმზადებულ უყვნის.

ნიკოლოოზ ტფილელი

• • •

საუკეთესო დედა ის არის, რომელიც შვილებს მამის მაგიერობას გაუწევს, როდესაც ისინი დაობლდებიან.

ჰიოტე

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ჩინეთის მწერლობის შესახებ. ამ წერილიდგან სჩანს, რომ ჩინეთის მწერლები ძლიერ ერიდებიან ომისა და ბრძოლის აღწერას, რადგანაც საზოგადოდ ჩინელებს ომი ეჯავრებათ და ძლიერ გამოჩენილი სარდალიც რომ იყოს, ჩინელები არავითარს პატივს არა სცემენ. ჩინელების თვალში დიდის პატივისცემის ღირსი არის ნასწავლი და პატიოსანი კაცი და არა სარდალი და მამაცი მეომარი. ჩინეთის მწერლობას ერთი დიდი ნაკლი აქვსო—გაჭიანურება სულ უბრალო ამბისა. აქაური მწერალი არც დაუჯერებელს ამბავს ერიდება და ხშირად ისეთს ამბავს შეთხზავს, რომელიც არც მომხდარა და ვერც მოხდებოდა, მაგრამ ასეთს ამბებს ჩინელები სიამოვნებითა ჰკითხულობენ. ერთი ასეთი მოთხრობა „მოღალატე ცოლი“ ევროპიულ ენებზედაც არის გადათარგმნილი. ჩინეთის ზოგიერთ მოთხრობაში ოხუნჯობასაც შეხვდება კაცი; მაგალითად, ერთი მოთხრობა აგვიწერს ერთის ლოთის კაცის ამბავს, რომელსაც მეგობარმა ერთი ბოთლი მშვენიერი ღვინო გამოუგზავნა. ღვინოს მოტრფიალემ ცეცხლზე დადგა ღვინო გასათბობად (ჩინელები თბილს ღვინოსა სვამენ), მაგრამ ვიდრე ღვინო გათბებოდა, ჩინელს გამოეღვიძა და გულნატკენმა წამოიძახა: „ახ, ნეტავი ისევ ისე ცივი დამელიაო!“ ეს ამბავი მთელ 20 გვერდზეა გაჭიმული და აწერილია ჩინელის ძილი და სიზმარი დიდის დაწვრილებით.

აი კიდევ მეორე მოთხრობა. ერთი კაცი თავისს მოვალეს შეხვდა. მოვალე ეკითხება, რადა ხარ ეგრე დაძმარებულიო. მან უპასუხა: სიზმარში ვნახე, ვითომ მოვკვდიო. მოვალემ ანუგეშა: დიდს ხანს იცოცხლებ, მუდამ ეგრეა, რასაც სიზმარში ნახავ, იმის წინააღმდეგი აგიხდებაო. კიდევ ერთი სიზმარიც ვნახეო, უპასუხა მან სიხარულით. აბა, რა სიზმარი? ისა, რომ ვითომ ვალი გადაგიხადეო“.

„ცოლ-ქმრობაზედაც ბევრი მოთხრობა აქვთ ჩინელებს. აი ერთის ამგვარ მოთხრობის შინაარსი: ერთმა მოხელემ ძლიერ გააჯავრა ცოლი და განრისხებულმა მეუღლემ სახე დააკაწრა. მეორე დღეს ეს მოხელე უფროსმა ჰნახა და ჰკითხა, ეგ რა დაგმართნიაო. „გუშინ ბაღში სახეზე ყურძნის მტევანი დამეცა და დამაკაწრაო“. ტყუილია, უთხრა უფროსმა, რომელიც კარგად იცნობდა მოხელის კაპასს ცოლს, ეგ თქვენმა ცოლმა დაგაკაწრათ წადით და პოლიციელს უბრძანეთ ჩემგან, რომ თქვენი ცოლი ეხლავე აქ მოიყვანოსო. ამ ბრძანებას, მოჰკრა ყური უფროსის ცოლმა, ძლიერ განრისხდა, ჩემს მეგობარს ჩემმა ქმარმა ცილი რად დასწამაო და ეცა ქმარს. უფროსმა, დაინახა რა თავისი ცოლი, მოხელეს უთხრა: ნუღარ მოიყვანთ თქვენს ცოლს, ჩემი ყურძნის მტევანი მზად არის სახეზე დამეცესო. მშვენივრად არის აწერილი ჩინელების ერთს მოთხრობაში დედაკაცის ცნობის-მოყვარეობა. ამაზედ შემდეგ მოვახსენებთ მკითხველებს.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 ოქტომბერი

პარიჟი. შენის დარბაზში მოხდა კრება სოციალისტთა ზედამხედველ კომიტეტის მიერ გამოწვეული. კრებას ათასამდე კაცი დაესწრო. პოლიციამ შესაფერი ღონის ძიებანი მიიღო. ანარქისტმა სებასტიანე ფორმა წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა, დრო არის მხნე გარდაწყვეტილებას დავადგეთ: საქმე ის არის, რომ ემზადებიან სახელმწიფო წეს წყობილება დაამხონ. შემდეგ ორატორმა დაიწყო დრეიფუსის საქმეზე ლაპარაკი რომ დაიწყო, ძლიერ გაჰკიცხა მთავარი შტაბი, დერულედი, დრიუმონი, როშფორი, რომელთა დასჯა უნდა ეკისრნათ თავისუფლების მომხრეთ. კრებამ გადასწყვიტა—თავისუფალნი მოქალაქენი უნდა შეერთდნენ რეაქციის წინააღმდეგ და მოვალეობად იკისრონ დაცვა რევოლიუციისა და თავისუფლებისა.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრის ბრძანებით ხვალ აქ დიდ-ძალი ჯარი მოვა. ბრძანება გაცემულია დაამზადონ სადგურები ჯარისათვის.

პარიჟი. გაზეთები ერთხმად ემადლიერებიან ეგრედ წოდებულს „ყვითელს წიგნს“ და ამბობენ, გამწვავებული ურთიერთობა ეხლა ცოტათი საკეთილოდ შეიცვალა, რადგანაც სოლსბერი დასთანხმდა, რომ საფრანგეთს გზა მიეცეს მდინარე ნილოსისაკენ.

პეკინი. იმპერატორი ავად არის უკურნებელის სენით, მაგრამ შეიძლება მაინც დიდს ხანს იცოცხლოს. საფრანგეთის მკურნალმა, რომელმაც იმპერატორი გასინჯა, სთქვა, რომ მარცხენა ფილტვი ოდნავ გაფუჭებული აქვსო.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა უფეშქაშა ვილჰელმს სურათი დომოკოსის ბრძოლისა მელურის ხელობა. გერმანიის მეფე-დედოფალმა ღარიბთა სასარგებლოდ შესწირეს 56,000 ფრანკი.

ვენა. მომვლელ ქალის პეხას ჯანმრთელობა კმასაყოფელია. დანარჩენები, ვინც სამკურნალოში დააწვინეს, კარგად არიან. ერთს მომვლელს ქალს, რომელიც თავს ცუდადა ჰგრძნობდა, შავი ჭირი აუცრეს.

◆◆

განცხადებანი

Покупайте только

ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ,
ИЗОБРѢТЕННЫЙ
Товариществомъ
Брокаръ и Кº.

Этотъ о-де-колонъ употребляется
как духи,
туалетная вода
и куренія.

Остерегаться подделокъ.

(11—მ—5)

НУЖН. СОЛИДН. ПРЕДСТ. (ДОВѢР.)

во всѣхъ провинціальн. город. и торг. мѣст. Россіи. Предл. съ подр. опис. **своего полож. и имущ.** ценза, что мож. служ. благонад. какъ гарант. для Т-ва отъ довѣр. адр. въ Москву. Торгово-Промышленн. Товарищ. въ коммерч. обонем. Ящ. № 220; обязанн. и услов. правл. немедленно сообщитъ.

(2—მ.—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

ქართველთა ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
სახალხო ლექსები და ლეგენდები	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	„
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა		20
წყარო წიგნი II მისივე	„	50
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად	„	25
ქ. ნიკოლაძის ნაწერები	„	30
კეთილი ძაღლი	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა	„	15
სვიმონ მეფე, მისივე	„	10
როსტომ მეფე, მისივე	„	10

სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ერთი შაური. წმინდა შემოსავალი ამ წიგნაკისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება განსაახლებლად ცხეთის ტაძრისა. ამ დღეებში წიგნაკი გაეგზავნებათ მთავარ მაღაზიებს დასავლეთს საქართველოში. (6—6.—4)

Дозволено цензурою, Тифлисъ 13 го Октября 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**